



შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“
აკადემიურ საბჭოს სხდომაზე
რექტორი ანზორ შარაშენიძე

2018 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში

2018 წ

1. 2018 წელს, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწისათვის სასწავლო უნივერსიტეტში შეიქმნა პროგრამული განვითარების მიზნობრივი ჯგუფები, რომლებშიც წარმოდგენილია შესაბამისი პროგრამების აკადემიური და მონვეული სპეციალისტები. ჩატარდა მიზნობრივი ჯგუფების მიერ კვლევა (გამოკითხვა) სწავლის და სწავლების მექანიზმების გადახალისების მიზნით, აგრეთვე განხორციელდა კონსულტაციის მიზნით სტუდენტთა შეხვედრები დამსაქმებლებთან, რომელშიც მონაწილეობდა სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი დასაქმების ცენტრის კოორდინატორი ნინო სეფისკვერაძე.

განსახორციელებელი ღონისძიებები: უფრო ინტენსიური უნდა გახდეს მიზნობრივი ჯგუფების მუშაობა. უნდა მოხდეს დამსაქმებლების ჩართულობის გაზრდა.

2. 2018 წელს დაიხვეწა:

- ა) ლექტორის შეფასების კითხვარი;
- ბ) სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარი;
- გ) აკადემიური პერსონალის ანგარიშის კითხვარი;
- დ) სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები, სწავლის და სწავლების შეფასების ინდიკატორების გათვალისწინებით; ე) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი;

განსახორციელებელი ღონისძიებები:

უნდა მოხდეს კითხვარებში საკვლევი მასალის რაოდენობრივი მაჩვენებლებით შეფასება, რაც შესაძლებელს გახდის სტატისტიკური ანალიზისათვის უფრო უტყუარი მონაცემების მიღებას.

3. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განვითარების პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი კომპიუტერებით და კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველსაყოფად, 2018 წელს შეძენილი იქნა 3 კომპიუტერი, 1 ნოუთბუქი, 3 პროექტორი, უსატრთხოების მიზნებისათვის შენობებს დაემატათ ახალი დეტექტორები, ვიდეოთვალეები, დაიხვეწა სტუდენტთა სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა, დაემატა ახალი მახასიათებლები, ახალი ინფრომაციით სისტემატურად ახლდება ვებ გვერდი, საკონფერენციო მიზნებისათვის სასწავლო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში შეიქმნა საკონფერენციო დარბაზი, შესაბამისი ინვენტარით და ტექნოლოგიური აღჭურვილებით. მოხდა სასწავლო ინვენტარის (მერხი, სკამი, დაფა და ა.შ) გადახალისება, ბიბლიოთეკას დაემატა ახალი სასწავლო და არასასწავლო ლიტერატურა, პერიოდიკა მოხდა ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზის განახლება, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ბიბლიოთეკის ჩართულობის უზრუნველყოფა; სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ „აღმშენებლის“ ელექტრონულ ფორმაში გადატანა და ციფრულ ბიბლიოთეკა“ივერიელში“ განთავსება. განსახორციელებელი ღონისძიებები:

უნდა მოხდეს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თვალსაჩინოებების დამატება

4. ადამიანური რესურსების, აკადემიური პერსონალის კომპეტენციის გაზრდა

5. აკადემიური პერსონალის კომპეტენციის გაზრდის მიზნით, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების წარმართვისა და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართვის ხელშესაწყობად, უნივერსიტეტის პროფესორებმა მონაწილეობა მიიღეს რეოლოგთა მულტიდისციპლინურ კონფერენციაში; აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ინგლისური ენის ცენტრმა უნივერსიტეტის მთარგმნელობითი ბიუროს ორგანიზებით ჩაატარა ორდღიანი ვებინარი უმაღლეს სასწავლებლებში ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის თანამედროვე ასპექტების შესახებ;

2018 წელს სასწავლო უნივერსიტეტის დააფინანსებით გამოიცა 3 სახელმძღვანელო:

- ლელა მენაბდიშვილი-ოჯახის მენეჯმენტი; თბილისი, „ბარტონი“ 2018
- მურმან ბლიაძე და ნოდარ ბლიაძე-ფირმის ორგანიზაცია და მართვა; თბილისი, „უნივერსალი“ 2018

- მურმან ბლიაძე -საწარმოო და ოპერაციული მენეჯმენტი- თბილისი, „უნივერსალი“ 2018

6. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში საჯარო ლექციები ჩაატარეს: საქართველოსმთავარიპროკურატურისსამართლებრივიუზრუნველყოფისდეპარტამენტისიურიდიული სამმართველოს უფროსმა ე. ნათია გორგოძემ; კომპანია “SEGREGX AUTO GALLERY“-ს გენერალური დირექტორი კობა ბაზაძემ; კავკასიოლოგიის ინსტიტუტის (ავსტრია) დირექტორმა ადამ ლამბერდმა; ჯანდაცვის მიმართულებით, საერთაშორისო ორგანიზაცია „ALIVEMAX“-ის ხელმძღვანელებმა;

7. გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად სასწავლო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია ჩაატარეს ჩეხეთის კარლის უნივერსიტეტის ენის ინსტიტუტის პროფესორებმა ზდენკა პრაჟაკოვამ და ვერა ჰოუმანოვამ;

8. საერთაშორისო კვლევების წარმართვისა და ერთობლივი სამეცნიერო-აკადემიური აქტივობების განსახორციელებლად, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გასაფორმებლად, სასწავლო უნივერსიტეტისა დმინისტრაცია სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების-კიევის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საერთაშორისო საავიაციო უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან. გაფორმდა ხელშეკრულებები თდასუ-სა და აღნიშნულ უნივერსიტეტებს შორის. დაისახა მიზანი ერთობლივი კვლევების, სამეცნიერო კონფერენციების, ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის შესახებ.

გაბათხულზე ჩატარდა მე-19-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებთან და სტუდენტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა პროფესორებმა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა 50 მოხსენება, აქედან მონვეული უცხოელი სტუმრების მიერ წარმოდგენილი იქნა 16 სამეცნიერო ნაშრომი.

1. სილაბუსების მიხედვით განხორციელდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი.
2. განხორციელდა სტუდენტის შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდების შედეგების მონიტორინგი;
3. გადამოწმდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემის ფუნქციონირება;
4. განხორციელდა სტუდენტთა სემესტრული შეფასების უწყისების შემოწმება - განხილვა.

განსახორციელებელი

ლონისძიებები:

- კვლევების შედეგად გაკეთებული ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე, დასახული ღონისძიებების განხორციელება სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში სწავლების მეთოდების, შუალედური შეფასებებისა და დაკვნიტი გამოცდის ჩატარების წესების დახვეწით
- ახალი საბაკალავრო პროგრამების მომზადება აკრედიტაციის მიზნებისათვის
- საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო კვლევების წარმართვისა და ერთობლივი სამეცნიერო-აკადემიური აქტივობების განსახორციელებლად, საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება სასწავლო უნივერსიტეტში სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების, ფილოლოგიის, ჯანდაცვის მიმართულებებით
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში საჯარო ლექციების ჩატარება, შეხვედრები მონვეულ სტუმრებთან;
- მოკლევადიანი ტრენინგ კურსების ჩატარება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.
- საზოგადოებრივ განვითარებაში სტუდენტთა კონტრიბუციის მიზნით საქველმოქმედო აქციების ჩატარება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური